დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/27 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-04/57 დადგენილებით

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის მომზადებისა და შესრულების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო სტუდენტის (შემდგომში - სტუდენტი) მიერ შესაბამისი პროგრამის სილაბუსით განსაზღვრული საბაკალავრო კვლევითი პროექტის ან საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და შესრულების წესს.
2. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს, ის არ არის ჯგუფური პროექტი, ხოლო საბაკალავრო კვლევითი პროექტი შესაძლებელია შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე, კლასტერში გაერთიანებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ერთობლივად, მაქსიმუმ 4 სტუდენტის მონაწილეობით.
3. საბაკალავრო კვლევით პროექტში/ნაშრომში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა.
4. სტუდენტმა/სტუდენტთა ჯგუფმა საბაკალავრო კვლევით პროექტში/ნაშრომში უნდა შეძლოს დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
4. საბაკალავრო კვლევით პროექტის/ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

მუხლი 2. საბაკალავრო კვლევით პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი), სამეცნიერო (მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი) პერსონალი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, მოწვეული პროფესორი/მასწავლებელი ან ემერიტუსი.
2. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი სემესტრის მანძილზე ორ-სამ კვირაში ერთხელ რეგულარულად ხვდება სტუდენტს/სტუდენტებს პროექტის/ნაშრომის

შესასრულებლად აუცილებელი კონსულტაციების გასაწევად და სტუდენტის/სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაოს ეტაპობრივად გასაცნობად.

3. ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 7 სტუდენტის ინდივიდუალურ საბაკალავრო ნაშრომს/საბაკალავრო კვლევით პროექტს ან ორ ჯგუფურ საბაკალავრო კვლევით პროექტს.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა

1. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომებისა და ხელმძღვანელების სია განიხილება და ყოველწლიურად მტკიცდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე.

2. საბაკალავრო კვლევით პროექტის/ნაშრომის სავარაუდო ხელმძღვანელი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დამამთავრებელი სემესტრის დაწყებამდე აკადემიური დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომების სავარაუდო დასახელებებს (თემებს).

3. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის თემის/ხელმძღვანელის შერჩევის გაადვილების მიზნით, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისათვის არსებული თემების ხელმისაწვდომობას. სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს, აირჩიოს თემა ან განაცხადოს მისთვის საინტერესო თემატიკის შესახებ.

4. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დამტკიცებული სია (ოქმის ამონაწერი) გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს.

5. სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, რეგისტრირდება საბაკალავრო კვლევით პროექტზე/ნაშრომზე (შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის მითითებით), რის შემდეგ მიმართავს შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტს თემის სათაურისა და ხელმძღვანელის შესარჩევად.

6. სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ შერჩეული საბაკალავრო კვლევით პროექტის/ნაშრომის დასახელება და ხელმძღვანელი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

7. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი სემესტრის დასაწყისში მკაფიოდ განუმარტავს სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს შესასრულებელი კვლევის მიზანს, ამოცანას და ამოცანის გადაჭრის სავარაუდო გზებს. სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უნდა განემარტოს აგრეთვე შესასრულებელი საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის (მათ შორის, შუალედურ შეფასებაზე წარმოსადგენი მასალის) სტრუქტურა, მოცულობა, გაფორმებისა და შეფასების წესი.

მუხლი 4. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმების წესი

დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/27 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-04/57 დადგენილებით

1. საბაკალავრო კვლევით პროექტს/ნაშრომს სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ამზადებს სწავლების დამამთავრებელ სემესტრში.
2. საბაკალავრო კვლევით პროექტის/ნაშრომის წინაპირობა შეიძლება იყოს ბაკალავრიატის პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პრაქტიკის/სტაჟირების ან სხვა კომპონენტის ჩაბარება.
3. საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი უნდა შეიცავდეს კვლევას.
4. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების ენა ქართულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სწავლება მიმდინარეობს სხვა ენაზე. უცხოენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები პროექტს/ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.
5. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
ა) თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
ბ) სარჩევი (შინაარსი);
გ) შესავალი, რომელშიც მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, დასმული ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზა/გზები);
დ) ლიტერატურის მიმოხილვა;
ე) კვლევა და შედეგები (1-3 თავი);
ვ) დასკვნ(ებ)ი;
ზ) გამოყენებული ლიტერატურის სია;
თ) დანართ(ებ)ი.
6. პროექტის/ნაშრომის სატიტულო ფურცელზე უნდა იყოს:
ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლოგო;
ბ) წარწერა “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”;
გ) ფაკულტეტის/ფაკულტეტების დასახელება;
დ) წარწერა „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა” და შესაბამისი პროგრამის/პროგრამების დასახელება;
ე) ოთხნიშნა შიფრი/შიფრები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;
ვ) შესაბამისი წარწერა „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დასახელება:” და პროექტის/ნაშრომის დასახელება;
ზ) წარწერა „წარმოდგენილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”;
თ) ჯგუფის/ჯგუფების ნომერი;
ი) სტუდენტის/სტუდენტების სახელი, გვარი, ხელმოწერა;
კ) ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა;
ლ) წარწერა „თბილისი, 0160, საქართველო”;
მ) პროექტის/ნაშრომის შესრულების წელი.

7. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის სატიტულო ფურცლის რეკომენდებული ფორმა მოცემულია დანართში (დანართი 1).
8. საბაკალავრო კვლევით პროექტს/ნაშრომს უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.
9. სარჩევი (შინაარსი): მოცემული უნდა იყოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება თანმიმდევრულად, მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.
10. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის „შინაარსის" რეკომენდებული ფორმა და სტრუქტურა მოცემულია დანართში (იხ. დანართი 2).
11. გამოყენებული ლიტერატურის მითითება უნდა მოხდეს ციტირებული ტექსტის ბოლოს. ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურა უნდა მიეთითოს იმ ენაზე, რა ენაზეცაა ის დაწერილი. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნეს დაცული APA სტილი ან ჩიკაგოს სტილი. დასაშვებია სქოლიოს გამოყენება. ინტერნეტიდან მოპოვებული მასალების ბმულებს უნდა მიეწეროს უკანასკნელად გამოყენების ან შემოწმების თარიღი.
12. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დაკაბადონების წესი:
ა) ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12;
ბ) ყველა გვერდი (სატიტულოს გარდა) უნდა დაინომროს თანმიმდევრობით. ქვეთავის წინ დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. შემდეგი თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან;
გ) გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი;
დ) პროექტის/ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი უნდა იყოს 1,5;
ე) ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. ელექტრონულ ვერსიაში გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. გვერდების ნუმერაცია – ქვედა მარჯვენა კუთხეში. ქვედა მინდორი აითვლება ნომრამდე. ამობეჭდილ და აკინძულ ვერსიაში დასაშვებია მინდვრების აღნიშნული სიდიდეებიდან გადახრა 5 მმ-ის ფარგლებში;
ვ) ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ორიენტაცია – ვერტიკალური.
13. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის მოცულობა დანართების (არსებობისას) გარეშე უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 15 და არაუმეტეს 30 გვერდს.

14. საბაკალავრო პროგრამის ან/და საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, აკადემიური დეპარტამენტის წინადადების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმების წესი შეიძლება განსხვავდებოდეს ამ წესით განსაზღვრულისაგან.

მუხლი 5. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასება

1. სტუდენტის შეფასების კომპონენტებია შუასემესტრული და დასკვნითი (დაცვა) შეფასებები.
2. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი შუასემესტრული გამოცდის კვირაში აფასებს სტუდენტს შესრულებული სამუშაოს მიხედვით და შუალედური შეფასების ქულა შეაქვს შესაბამის ელექტრონულ უწყისში.
3. შუალედური შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: S=6xM (ქულა), სადაც M არის შუალედური შეფასების ქულა.
4. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 30; მინიმალური დადებითი შეფასება - 15 ქულა.
5. შუალედური შეფასების კრიტერიუმებია (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა):
ა) 5 ქულა - წარმოდგენილი მასალა სრულად შეესაბამება ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ დავალებას, მასში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, დასმულია ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზა, ტერმინოლოგია გამართული და ადექვატურია;
ბ) 4 ქულა - წარმოდგენილი მასალა სრულად შეესაბამება ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ დავალებას, მასში ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, დასმულია ამოცანა და მისი გადაწყვეტის გზა, ტერმინოლოგიაში ვხვდებით ხარვეზებს;
გ) 3 ქულა - წარმოდგენილ მასალაში ვხვდებით ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და დასმულია ამოცანა; ამოცანის გადაწყვეტის გზა არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი, ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია;
დ) 2 ქულა - წარმოდგენილი მასალა შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს. კვლევის მიზანი, დასმული ამოცანა, მისი გადაწყვეტის გზა არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი, ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია;
ე) 1 ქულა - წარმოდგენილი მასალა არადამაკმაყოფილებელია;
ვ) 0 ქულა მასალა არაა წარმოდგენილი ან წარმოდგენილია სხვა შინაარსის მასალა.
6. სტუდენტი/სტუდენტები დასრულებულ პროექტს/ნაშრომს („დოკუმენტური მასალის“ სახით) წარუდგენს ხელმძღვანელს „დოკუმენტური მასალის ჩაბარების“ კვირის დასაწყისიდან დაცვამდე 5 დღით ადრე დროის შუალედში.

7. ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი საბაკალავრო ნაშრომი და და მისი ელექტრონული ვერსია CD დისკზე, დეკანის ნებართვით, დადგენილი წესით გადაეცემა „Strikeplagiarism.com“ პროგრამის ოპერატორს შესამოწმებლად.

8. სტუდენტი დასკვნით შეფასებაზე (დაცვაზე) არ დაიშვება, თუ:

ა) შუასემესტრულ შეფასებაში ვერ მიიღებს მინიმალურ დადებით შეფასებას;

ბ) დროულად არ წარუდგენს ხელმძღვანელს დასრულებულ საბაკალავრო კვლევით პროექტს/ნაშრომს „დოკუმენტური მასალის“ სახით;

გ) საბაკალავრო ნაშრომი შეიცავს პლაგიატს.

9. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დასკვნით (დაცვა) შეფასებას ახორციელებს არანაკლებ 3 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მტკიცდება აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების წარდგინების საფუძველზე დეკანის/დეკანების ბრძანებით და რომელშიც შეიძლება შედიოდეს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, მათ შორის მოწვეული, ემერიტუსი ან სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან მეცნიერი თანამშრომელი.

10. დაუშვებელია პროექტის/ნაშრომის შეფასება იმ კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედის მისი ხელმძღვანელი.

11. ხელმძღვანელი, როგორც წესი, უნდა ესწრებოდეს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ ნაშრომის დაცვას.

12. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

13. კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალი.

14. დასკვნით შეფასებაზე (დაცვაზე) სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფის წარმომადგენელი (წარმომადგენლები) აკეთებს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის პრეზენტაციას (10-15 წუთი), რომელსაც მოჰყვება კითხვა-პასუხი (დისკუსია). სტუდენტმა დაცვის დროს უნდა უპასუხოს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

15. სტუდენტს კომისიის თითოეული წევრი აფასებს სამი კომპონენტის მიხედვით: საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შინაარსი და გაფორმება, პრეზენტაცია და კითხვა-პასუხი. კომისიის წევრის მიერ შესავსები ფორმა განისაზღვრება ამ წესის დანართი 3-ით.

16. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დაცვის სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით: S=5xM (ქულა), სადაც M არის კომისიის თითოეული წევრის მიერ გაკეთებული შეფასებების ქულების ჯამების საშუალო არითმეტიკული. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დაცვის (იხ. დანართი 4).

17. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დაცვის მაქსიმალური შეფასებაა 70 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება – 26 ქულა.

18. კომპონენტების მიხედვით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმებია:
ა) საბაკალავრო კვლევით პროექტის/ნაშრომის შინაარსი და გაფორმება (მაქსიმალური შეფასება 6 ქულა):
ა.ა) 6 ქულა - პროექტი/ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, სრულყოფილადაა გადაწყვეტილი ამოცანა და სწორადაა რეალიზებული გადაწყვეტის არჩეული გზა. ტერმინოლოგია გამართულია. გაფორმების ხარისხი მაღალია;
ა.ბ) 5 ქულა - პროექტი/ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია და სწორადაა რეალიზებული გადაწყვეტის არჩეული გზა. ტერმინოლოგია გამართულია, გაფორმების ხარისხი კარგია;
ა.გ) 4 ქულა - პროექტი/ნაშრომი სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია და თითქმის სწორადაა რეალიზებული გადაწყვეტის არჩეული გზა. ტერმინოლოგიაში ვხვდებით ცალკეულ ხარვეზებს. გაფორმების ხარისხი მისაღებია;
ა.დ) 3 ქულა - პროექტში/ნაშრომში ვხვდებით ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. ჩატარებული კვლევა შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია არასრულად. ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია. გაფორმების ხარისხი დამაკმაყოფილებელია;
ა.ე) 2 ქულა - პროექტი/ნაშრომი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით. ჩატარებული კვლევა სრულად არ შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია არასრუყოფილად. ტერმინოლოგია მისაღებია. გაფორმება ხარვეზებს შეიცავს;
ა.ვ) 1 ქულა - პროექტი/ნაშრომი არადამაკმაყოფილებელია. ჩატარებული კვლევა არ შეესაბამება მიზანს, დასმული ამოცანა გადაწყვეტილია არასრულად. ტერმინოლოგია არაზუსტია. გაფორმება არადამაკმაყოფილებელია;
ა.ზ) 0 ქულა - პროექტი/ნაშრომი არ არის წარმოდგენილი.
ბ) პრეზენტაცია (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა):
ბ.ა) 5 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება სრულყოფილია, ტერმინოლოგია გამართულია;
ბ.ბ) 4 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება მისაღებია, მაგრამ ტერმინოლოგიაში ვხვდებით ხარვეზებს;
ბ.გ) 3 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს; ტერმინოლოგია დამაკმაყოფილებელია;
ბ.დ) 2 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, ტერმინოლოგია მისაღებია;
ბ.ე) 1 ქულა - პრეზენტაციაზე გაკეთებული მოხსენება არადამაკმაყოფილებელია, ტერმინოლოგია არაზუსტია;
ბ.ვ) 0 ქულა - პრეზენტაცია არ შედგა.
გ) კითხვა-პასუხი (მაქსიმალური შეფასება 3 ქულა):

გ.ა) 3 ქულა - კითხვებზე გაცემული პასუხები სრულყოფილია;
გ.ბ) 2 ქულა - კითხვებზე გაცემული პასუხები შეიცავს ცალკეულ ხარვეზებს;
გ.გ) 1 ქულა - კითხვებზე გაცემული პასუხები ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ შეკითხვებს;
გ.დ) 0 ქულა -კითხვებზე გაცემული პასუხები არაადეკვატურია, არ არის მისაღები.
19. სტუდენტი/ჯგუფი, რომელიც შუასემესტრულ და დასკვნით შეფასებებში ჯამურად დააგროვებს 41-50 ქულას, განმეორებით დაცვაზე დაიშვება დამატებითი გამოცდების ვადებში. თუ აღნიშნული სტუდენტი/ჯგუფი განმეორებით დაცვაზე ჯამურად ვერ დააგროვებს 51 და მეტ ქულას, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი ხელახლა ექნება შესასრულებელი. სტუდენტს/ჯგუფს შემდეგ სემესტრში შეიძლება მიეცეს იგივე თემის შესრულების უფლება.
20. დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
21. სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმება შეფასებას (შუასემესტრული შეფასება/საბაკალავრო ნაშრომის დაცვა), უფლებამოსილია დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით“ დადგენილი წესით.
22. საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი ინფორმაციას საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის წარმოდგენის (“დოკუმენტური მასალის” ჩაბარების) შესახებ და დაცვის შეფასებას დადგენილ ვადებში შეიტანს ელექტრონულ უწყისში.
23. სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის ნაშრომი ინახება აკადემიურ დეპარტამენტში დადგენილი წესით.

დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/27 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-04/57 დადგენილებით

დანართი 1



SCIENTIA POTENTIA EST

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

…….. ფაკულტეტი

…….. აკადემიური დეპარტამენტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები „.....“

შიფრი ....

საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის დასახელება:

.....

დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/27 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-04/57 დადგენილებით

(წარმოდგენილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი:

ჯგუფის №/ჯგუფების №:

ხელმძღვანელი:

თბილისი, 0160, საქართველო

202 წელი

დანართი 2

შინაარსი

შესავალი ---------- 3

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 4

თავი 2. თავის დასახელება ---------- 5

თავი 3. თავის დასახელება ---------- 12

…….

დასკვნა ---------- 20

გამოყენებული ლიტერატურის სია ---------- 21

დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/27 დადგენილებით
შეტანილია ცვლილება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-04/57 დადგენილებით